გადაწყვეტილება

N გ-20-12/524
25/06/2020

524-გ-20-1-4-202006251524

ი/მ „ლარისა მახარაძესთვის“ მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას წერილით მიმართა ი/მ „ლარისა მახარძემ“ (ს/ნ 61008015655) (კომისიაში რეგისტრაციის №შ-20-6/2968, 05.06.2020) ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზაციის გავლის თაობაზე. კერძოდ, წერილის თანახმად კომპანიას სურდა ავტორიზაციის გავლა ინტერნეტის საშუალებით უფასო საერთო ტელემაუწყებლობაზე. წერილს თან ახლდა:
ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
ბ) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;
გ) შესაბამისობის დეკლარაცია;
დ) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ.

კომისიამ ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 45[1] მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე განმცხადებელს 2020 წლის 11 ივნისს გაუგზავნა წერილი და აცნობა, რომ მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციის გასავლელად ლარისა მახარაძემ უნდა შეავსოს კომისიის 2012 წლის 22 ივნისის №431/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განცხადების ფორმის დანართი №1, რომელიც განკუთვნილია ფიზიკური პირისთვის. წერილში ასევე განუმარტა, რომ ხარვეზით ჰქონდა წარმოდგენილი:
ა) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ, კერძოდ დოკუმენტში არ იყო მითითებული თუ რა პერიოდზეა გაწერილი გეგმა; ასევე დოკუმენტი არ შეიცავდა ინფორმაციას თუ რა თანხებით აპირებდა მაუწყებლობის დაწყებას; დოკუმენტიდან გასავლებში არ სჩანდა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენის თანხები;
ბ) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია, კერძოდ კონცეფცია არ შეიცავდა პროგრამულ მიმართულებებს და მათ მოკლე აღწერილობას.

წერილში მითითებული იყო, რომ განცხადებას თან უნდა დაერთოს მასში მითითებული თანდართული დოკუმენტაცია სრულყოფილად. კომისიამ ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენისთვის ი/მ ლარისა მახარაძეს განუსაზღვრა 5 სამუშაო დღის ვადა (წერილი №გ-20-03/1903 11.06.2020წ.).

ი/მ ლარისა მახარაძეს მოთხოვნილი დოკუმენტაცია კომისიაში უნდა წარმოედგინა 2020 წლის 18 ივნისის ჩათვლით. ინდივიდუალურმა მეწარმემ 2020 წლის 22 ივნისს კომისიაში წარმოადგინა დაზუსტებული განცხადება (წერილი №გ-20-6/1313 და №გ-20-6/1314) და თანდართული დოკუმენტაცია. თუმცა დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ფიქსირდება შემდეგი ხარვეზები:
ა) არ არის წარმოდგენილი ფიზიკური პირისა და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი დეკლარაცია;

ბ) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია არ შეიცავს პროგრამულ მიმართულებებს და მათ მოკლე აღწერილობას. ასევ კონცეფცია არ შეიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებს.

კომისიის 2020 წლის 25 ივნისის სხდომას ესწრებოდა ი/მ ლარისა მახარაძე.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად თუ საავტორიზაციო განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია არასრულყოფილადაა წარმოდგენილი, კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენისათვის განუსაზღვრავს 5 სამუშაო დღის ვადას. ამ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ავტორიზაცია არ განხორციელდება. ავტორიზაციის განუხორციელებლობა არ ართმევს პირს უფლებას, განმეორებით მიმართოს კომისიას ავტორიზაციისათვის. სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ ი/მ „ლარისა მახარაძეს" განსაზღვრულ ვადაში კომისიაში სრულყოფილად არ წარმოუდგენია საავტორიზაციო განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის და 38-ე მუხლის, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 95-ე, 98-ე და 99-ე მუხლებისა და VII თავის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას ი/მ „ლარისა მახარაძეს" (ს/ნ 61008015655) მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციაზე "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის გამო;
2. განემარტოს ი/მ „ლარისა მახარაძეს", რომ ავტორიზაციის განუხორციელებლობა არ ართმევს პირს უფლებას, განმეორებით მიმართოს კომისიას ავტორიზაციისათვის;
3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ნ. შოვნაძე):

ა) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ი/მ „ლარისა მახარაძესთვის" გაგზავნა;

ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) ი/მ „ლარისა მახარაძესთვის" ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებული ასლის ი/მ „ლარისა მახარაძესთვის" ჩაბარებისთანავე;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე–3 პუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი